

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“
ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

მმართველობითი ანგარიშგება	24
---------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯიარ ტრანზიტ ლაინის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯიარ ტრანზიტ ლაინის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია სხვა აუდიტორის მიერ რომელმაც გამოსცა არამოდიფიცირებული მოსაზრება 2024 წლის 3 ივლისს.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ხელმძღვანელობის ანგარიშში - მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშში საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

25 აპრილი 2025

თბილისი, საქართველო

- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
 - ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
 - ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
 - ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

25 აპრილი 2025

თბილისი, საქართველო



000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		34	30
გრძელვადიანი აქტივები		34	30
მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებში		2,234	1,435
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4,425	-
სხვა აქტივები		750	687
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	5,565	5,263
მოკლევადიანი აქტივები		12,974	7,385
სულ აქტივები		13,008	7,415
კაპიტალი	7		
საწესდებო კაპიტალი		97	97
გაუნაწილებელი მოგება		9,520	3,893
სულ კაპიტალი		9,617	3,990
ვალდებულებები			
მოსალოდნელი შესასრულებელი ვალდებულება		576	-
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები		2,814	3,425
მოკლევადიანი ვალდებულებები		3,390	3,425
სულ ვალდებულებები		3,390	3,425
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,007	7,415


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილის და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

თამარ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი

000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		34	30
გრძელვადიანი აქტივები		34	30
მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებში			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		2,234	1,435
სხვა აქტივები		4,425	-
ფულადი საახსრები და მათი ეკვივალენტები	6	750	687
მოკლევადიანი აქტივები		5,565	5,263
სულ აქტივები		12,974	7,385
		13,008	7,415
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	97	97
გაუნაწილებელი მოგება		9,520	3,893
სულ კაპიტალი		9,617	3,990
ვალდებულებები			
მოსალოდნელი შესასრულებელი ვალდებულება		576	-
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები		2,814	3,425
მოკლევადიანი ვალდებულებები		3,390	3,425
სულ ვალდებულებები		3,390	3,425
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,007	7,415

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილის და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი


თამარ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	76,794	65,279
ტვირთის გადაზიდვის ხარჯები		(50,607)	(41,451)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(2,228)	(2,335)
სხვა ხარჯები		(288)	(281)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		23,671	21,212
საპროცენტო შემოსავალი		857	1,447
საკუთრო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		99	17
წმინდა ფინანსური შემოსავალი		956	1,464
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		24,627	22,676
მოგების გადასახადი		-	-
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		24,627	22,676

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი


თამარ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი


მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 - 22 გვერდებზე.

000 ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	76,794	65,279
ტვირთის გადაზიდვის ხარჯები		(50,607)	(41,451)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(2,228)	(2,335)
სხვა ხარჯები		(288)	(281)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		23,671	21,212
საპროცენტო შემოსავალი		857	1,447
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		99	17
წმინდა ფინანსური შემოსავალი		956	1,464
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		24,627	22,676
მოგების გადასახადი		-	-
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		24,627	22,676

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი


თამარ ჯაჭელი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

‘000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	97	7,717	7,814
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში წლის მოგება	-	22,676	22,676
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან			
გაცემული დივიდენდები	-	(26,500)	(26,500)
2023 წლის 31 დეკემბერი	97	3,893	3,990
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	97	3,893	3,990
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში წლის მოგება	-	24,627	24,627
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან			
გაცემული დივიდენდები	-	(19,000)	(19,000)
2024 წლის 31 დეკემბერი	97	9,520	9,617

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

თამარ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი

‘000 ლარი

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარის მდგომარეობით
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში
წლის მოგება
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები
მესაკუთრებთან
გაცემული დივიდენდები
2023 წლის 31 დეკემბერი


საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
97	7,717	7,814
-	22,676	22,676
-	(26,500)	(26,500)
97	3,893	3,990

ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში
წლის მოგება
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები
მესაკუთრებთან
გაცემული დივიდენდები
2024 წლის 31 დეკემბერი

97	3,893	3,990
-	24,627	24,627
-	(19,000)	(19,000)
97	9,520	9,617

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი


თამარ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი

000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		24,627	22,676
კორექტირებები:			
წმინდა ფინანსური შემოსავალი		(857)	(1,464)
კურსტაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		99	-
ცვეთა		8	9
		23,877	21,221
ცვლილებები:			
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		(799)	(466)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(4,498)	-
სხვა აქტივები		(63)	(67)
მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსები		(23)	353
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		18,494	21,041
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		857	1,447
ძირითადი საშუალებების შეძენა		(12)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობებიდან		845	1,447
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდები		(19,000)	(26,500)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(19,000)	(26,500)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		339	(4,012)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		5,263	9,259
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(37)	16
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	6	5,565	5,263

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

თამარ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი

000 ლარი

შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე კორექტირებები:	24,627	22,676
წმინდა ფინანსური შემოსავალი	(857)	(1,464)
კურსტაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	99	-
ცვთა	8	9
	23,877	21,221
ცვლილებები:		
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	(799)	(466)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(4,498)	-
სხვა აქტივები	(63)	(67)
მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსები	(23)	353
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	18,494	21,041
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული პროცენტი	857	1,447
ძირითადი საშუალებების შეძენა	(12)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობებიდან	845	1,447
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან გადახდილი დივიდენდები	(19,000)	(26,500)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(19,000)	(26,500)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	339	(4,012)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	5,263	9,259
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(37)	16
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	5,565	5,263

6

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

თამარ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი

ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

გლობალური ფაქტორების მიუხედავად, საქართველოში 2024 წელს ეკონომიკა 7%-ით გაიზარდა, ხოლო ინფლაციის დონემ 2.5% შეადგინა. მშპ-ს რეალური ზრდა ძირითადად განპირობებულია გაზრდილი ექსპორტით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით და ფულადი გზავნილების ზრდით, რაც დაკავშირებულია რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიდან მიგრანტებისა და ტურისტების შემოდინებასთან (უკრაინაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ). უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ქართული ლარის კურსი მერყევი იყო, მაგრამ 2024 წელს ის დოლართან მიმართებაში 9.87%-ით გამყარდა (2023 წელს ეს მაჩვენებელი 12.53% იყო). წყაროები: www.geostat.ge; www.nbg.gov.ge.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“ („კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. კომპანია 2013 წლის 19 თებერვალს დაარსდა.

კომპანიის იურიდიული მისამართი: თამარ მეფის გამზირი N 15, თბილისი, 0112, საქართველო, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი: 404437702.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურებების გაწევა საქართველოს ტერიტორიაზე თხევადი ტვირთის სარკინიგზო ტრანსპორტირების ფარგლებში, ბათუმის და ფართო წყალის („ყულევ“) სარკინიგზო სადგურებიდან სომხეთის და აზერბაიჯანის საზღვრებზე რკინიგზის სადგურების მიმართულებით, შესაბამის სარკინიგზო მომსახურებასთან ერთად.

კომპანიის სრული მფლობელია სს „საქართველოს რკინიგზა“ („მშობელი კომპანია“), რომელიც თავის მხრივ მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიაა. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-11 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია კრიტიკული მსჯელობა კომპანიის იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებსაც აქვთ არსებითი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ ოდენობებზე.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტების მიზნებისათვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შემდგომისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 9 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

‘000 ლარი	2024	2023
ტვირთის გადაზიდვა	73,552	64,253
სხვა	3,242	1,026
	76,794	65,279

ტვირთის გადაზიდვის შემოსავალი მიიღება ანაზღაურების სანაცვლოდ ტვირთის ერთი პუნქტიდან მეორეში გადაზიდვის შედეგად, რომელიც ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ ფასებს. შემოსავალი ფასდება იმ თანხით, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აღნიშნული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

ტვირთის გადაზიდვის შემოსავალი აღიარებულია დროის განმავლობაში მომსახურების გაწევისთან ერთად, ფასს 15-ის შესაბამისად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობა ფასდება ტრანსპორტირების დასრულებამდე სავარაუდო დროის საფუძველზე.

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

‘000 ლარი	2024	2023
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	(3,391)	(3,425)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივი (2023: ნული).

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლებისგან ტვირთის გადაზიდვის მომსახურებისთვის ავანსად მიღებულ ანაზღაურებას. 2023 წელს, 3,072 ათასი ლარის ოდენობით თანხა, რომელიც პერიოდის დასაწყისში აღიარებული იყო მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებში, აღიარდა ტვირთის გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის სახით. 2024 წლის განმავლობაში, 3,425 ათასი ლარის ოდენობით მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები იქნება აღიარებული ტვირთის გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის სახით.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	5,565	5,263
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	5,565	5,263

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე წარმოდგენილია შენიშვნაში 9.

7. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა განსაზღვრა განთავსებული კაპიტალის ვადა და კომპანიას 2025 წლის პირველ აპრილამდე ავალდებულებს შესაბამისობის უზრუნველყოფას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ განუსაზღვრავს განთავსებული კაპიტალი.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები უნდა ფლობდნენ გასანაწილებელ რეზერვებს იმ ოდენობით, რომ მათი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და განთავსებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასის აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 19,000 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 26,500 ათასი ლარი).

8. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

9. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე ვადიანობის გამო.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 9(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 9(b)(iii))
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 9(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოს აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში და კომპანიის საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭო ზედამხედველობას უწევს თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაპენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან. კომპანია ინახავს მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ქართულ ბანკებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B (ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით). არცერთი ნაშთი არ არის არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული და კლასიფიცირებულია 1-ელ დონეზე. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაპენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 79% (2023: 94% ერთ კლიენტთან) უკავშირდება ერთ კლიენტთან განხორციელებული გაყიდვის ოპერაციებს.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანიას გაუჭირდება თავისი ფინანსური ვალდებულებების დროულად შესრულება, რომლებიც გადახდილია ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან მიმართებით მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რაც შეიძლება მაქსიმალურად, საკმარისი ლიკვიდურობის არსებობა, რათა თავის ვალდებულებებს დროულად გაართვას თავი როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, იმის გარეშე, რომ განიცადოს მიუღებელი ზარალი ან საფრთხე შეუქმნას კომპანიის რეპუტაციას. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მნიშვნელოვნად არ არის ლიკვიდურობის რისკის ქვეშ.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ბაზრის ფასების ცვლილება, როგორცაა უცხოური ვალუტის კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციების ფასები, გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფლობადი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია მართოს და გააკონტროლოს საბაზრო რისკის ზემოქმედება მისაღები საზღვრების ფარგლებში, ამავე დროს მაქსიმალურად გამოიყენოს შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

‘000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,565	5,263
წმინდა დაქვემდებარება	5,565	5,263

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება (შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე და კაპიტალზე დაბეგვრამდე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

‘000 ლარი	გამყარება	შესუსტება
	კაპიტალი/მოგება ან ზარალი	კაპიტალი/მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება/გამყარება)	(198)	198
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება/გამყარება)	(93)	93

10. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ამ ვითარებამ შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

11. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის სს „საქართველოს რკინიგზა“. საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

სს „საქართველოს რკინიგზა“ აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში:

‘000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	102	197

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

(i) ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობებს აწარმოებს მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ გამონაკლისის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

კომპანიის ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ.

(ii) ტვირთის გადაზიდვა

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ სს „საქართველოს რკინიგზისგან“ შეიძინა ტვირთის გადაზიდვის მომსახურება, რომელმაც შეადგინა 50,607 ათასი ლარი (2023: 41,451 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, სს „საქართველოს რკინიგზაზე“ გაცემულმა წინასწარმა გადახდებმა შეადგინა 2,234 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: 1,427 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობა აფასებს, რომ სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან დაკავშირებული ნაშთების ჯამური ოდენობები არ არის არსებითი.

12. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ არ ყოფილა რაიმე მოვლენა ან ახალი გარემოება, რომელიც მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ციფრების შეცვლას ან დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

13. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

14. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე; და
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალ ფულად გადახდებს ან მისაღებ თანხებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე.

საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით). თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველყოფს მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამოქვეყნების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები,

ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ გულისხმობს დაბეგვრის მომენტის გადანაცვლებას მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ანუ ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვის არის გადახდილი დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით იბეგრება ასევე ზოგიერთი ოპერაცია, როგორიცაა ხარჯის გაწევა, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდება და ზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბებით წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს მოგება-ზარალის ანგარიშგების ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(I) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემდგომი თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია. აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებული ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iv) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(გ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ

სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ფასდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „კომპანია“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ადიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების ადიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში მოვიდეს.

ფინანსური ვალდებულების ადიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა ამოიწურება

(h) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

15. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომპანიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

შპს „ჯიარ ტრანზიტი ლაინი“

2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

კომპანიის შესახებ.....	26
პერსონალი და მმართველობითი სტრუქტურა.....	26
ფინანსური შედეგების ანალიზი.....	26
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	29
კომპანიის წინაშე არსებული რისკების და გეგმიდან გადახრების ანალიზი.....	29
კომპანიის სტრატეგია და მიზნები	30
კანონმდებლობა და რეგულაციები	30

კომპანიის შესახებ

შპს „ჯიარ ტრანზიტი ლაინი“ (შემდეგში „კომპანია“) არის სს „საქართველოს რკინიგზის“ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, რომელიც ახორციელებს ნავთობპროდუქტების ტრანზიტულ გადაზიდვას რკინიგზის საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის პორტებიდან (ფოთი, ბათუმი, ყულევი) სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართულებით.

კომპანიის მისიას წარმოადგენს საქართველოში სატრანზიტო კორიდორის გაფართოება, ტვირთბრუნვის გაზრდა, ხარისხიანი და უწყვეტი მომსახურება. შპს „ჯიარ ტრანზიტი ლაინს“ გააჩნია პირდაპირი კონტრაქტები კლიენტებთან და ასევე მომსახურების ხელშეკრულებები სს „საქართველოს რკინიგზასთან“, რაც საშუალებას აძლევს მას, შესთავაზოს კლიენტს სწრაფი და უწყვეტი მომსახურება.

შპს „ჯიარ ტრანზიტი ლაინი“ კლიენტებს სთავაზობს საექსპედიტორო მომსახურებას, რომელიც მოიცავს როგორც თვით უშუალოდ გადაზიდვას, ასევე მასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებებს (ცარიელი ვაგონების უკან დაბრუნება, 24 საათზე მეტი მომსახურება გამგზავნ და მიმღებ სადგურებში, ადგილობრივი სადგურების მომსახურება).

პერსონალი და მმართველობითი სტრუქტურა

შპს „ჯიარ ტრანზიტი ლაინი“ თავის საქმიანობას ახორციელებს ქ.თბილისში, არსებული ოფისის საშუალებით, რომელიც დაკომპლექტებულია 68 კვალიფიცირებული თანამშრომლით. კომპანია მოიცავს რეპორტიინგისა და ანგარიშგების, ადმინისტრაციულ, იურიდიულ, ფინანსურ, შესყიდვების, უსაფრთხოების და მონიტორინგის, მარკეტინგისა და პიარის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებს, რომელთა მართვაც ხორციელდება ცენტრალიზებულად.

შპს „ჯიარ ტრანზიტი ლაინს“ ყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აქტიურადაა ჩართული კომპანიის სტრატეგიის დაგეგმვის, ბიუჯეტირების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზის და მონიტორინგის საკითხებში. სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე არსებული რისკების ანალიზსა და მართვასთან დაკავშირებით.

ფინანსური შედეგების ანალიზი

შპს „ჯიარ ტრანზიტი ლაინი“ ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. მისი მიზანია მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ქვემოთ მოცემულია აუდირებული ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგება-ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2024-2023 წლის შედეგებზე დაყრდნობით.


საბალანსო უწყისი		
'000 ლარი	<u>2024</u>	<u>2023</u>
აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	34	30
სულ მიმდინარე აქტივები	12,974	7,385
მთლიანი აქტივები	13,008	7,415
კაპიტალი	9,617	3,990
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები	3,391	3,425
სულ ვალდებულებები	3,391	3,425
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	13,008	7,415

მოგება ზარალის უწყისი		
'000 ლარი	<u>2024</u>	<u>2023</u>
შემოსავალი	76,794	65,279
საოპერაციო ხარჯები	(50,607)	(41,451)
ხელფასის ხარჯი	(2,228)	(2,335)
სხვა ხარჯები	(288)	(281)
ფინანსური შემოსავალი	857	1,464
სუფთა მოგება	24,528	22,676


კომპანიის შემოსავლები ფორმირდება ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას გაწეული მომსახურების გაწევის შედეგად.

შემდეგი სურათი გამოხატავს შემოსავლების სტრუქტურას, გადაზიდული ტვირთების მიმართულებების მიხედვით:

2024



2023




აღსანიშნავია ის ფაქტი რომ 2023-2024 წლებში ტვირთების წილობრივი გადანაწილების მხრივ მნიშვნელოვანი რყევები არ შეიმჩნევა.


2024 წელს წინა წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა გადაზიდული ტვირთების, მიმღები ქვეყნების მიხედვით წილების თანაფარდობის შემდეგ ცვლილებებს: სომხეთის წილი შემცირდა 96%-დან 66,06 % მდე, ხოლო აზერბაიჯანის წილი გაიზარდა 4% -დან 32,03 %-მდე. აგრეთვე დაგვემატა უზბეკეთის მიმართულება 1,59 % და სადგური ლილოს მიმართულება 0,32% ხვედრითი წილით

ასევე, მოგაწვდით 2023-2024 წლებში გადაზიდული ტვირთების შესახებ ინფორმაციას.

2024



2023



ჯამი 663, 134 ტონა

ჯამი 509,907 ტონა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	<u>2024</u>	<u>2023</u>
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	24,627	22,676
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(857)	(1,464)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(19,000)	(26,500)
ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა	339	(4,012)
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 1 იანვრისთვის	5,263	9,259
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(37)	16
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 31 დეკემბრისთვის	5,565	5,263

კომპანიის წინაშე არსებული რისკების და გეგმიდან გადახრების ანალიზი

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს მის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრას და გაანალიზებას, რისკის დასაშვები ზღვრული ოდენობის დადგენას და კონტროლს და მის შემდგომ მართვას და მონიტორინგს. მასში შემავალი კომპონენტების გათვალისწინებით შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინს“ შემუშავებული აქვს საკუთარი რისკების მართვის სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის მიზნებთან და საქმიანობის სპეციფიკასთან.

რისკების მართვა ხორციელდება მთელი საწარმოს მასშტაბით მის ყველა სტრუქტურულ თუ ორგანიზაციულ დონეზე. მინიმუმამდეა დაყვანილი კომპანიის წინაშე არსებული საოპერაციო რისკები მისი ეფექტური მართვით და მუდმივი ტრენინგების სისტემით და მონიტორინგით.

კომპანიის წინაშე არსებული ფინანსური რისკები განხილულია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანიის გრძელვადიანი ხედვაა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს შავი ზღვიდან სატრანსპორტო კორიდორის განვითარებას და გაფართოვებას და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ-სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. კორიდორისთვის ახალი ტვირთების მოზიდვით, ლოიალური კლიენტების შენარჩუნებითა და კლიენტებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი და კომფორტული მომსახურების მიწოდებით მენეჯმენტი ცდილობს უზრუნველყოს სტაბილური შემოსავალი და შესაბამისად სარგებელი პარტნიორისა და საზოგადოებისათვის.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მენეჯმენტს გადამწყვეტ ფაქტორად კომპანიის მაღალი რეპუტაციის მუდმივი შენარჩუნება-გაზრდა და მაღალკომპეტენტური და გამოცდილი კადრების მიერ მომხმარებლებისთვის სტაბილური ხარისხის და მაქსიმალურად ხელსაყრელი მომსახურების მიწოდება მიაჩნია.

რაც შეეხება უახლოეს გეგმებს - რადგან შეინიშნება გაზრდილი მოთხოვნა ნავთობპროდუქტების გადაზიდვასთან დაკავშირებით შავი ზღვის ტერმინალებიდან აზერბაიჯანის მიმართულებით, კომპანიას გადაწყვეტილი აქვს გააფართოვოს მისი მოქმედების არეალი და აღნიშნული მიმართულებით მომსახურების დამატება განიხილოს შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთ დამატებით წყაროდ.

კანონმდებლობა და რეგულაციები

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინის“ 2024 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2025 წლის 25 აპრილს:

სოლიკო ფრიდონაშვილი

დირექტორი

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანიის გრძელვადიანი ხედვაა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს შავი ზღვიდან სატრანსპორტო კორიდორის განვითარებას და გაფართოვებას და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ-სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. კორიდორისთვის ახალი ტვირთების მოზიდვით, ლოიალური კლიენტების შენარჩუნებითა და კლიენტებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი და კომფორტული მომსახურების მიწოდებით მენეჯმენტი ცდილობს უზრუნველყოს სტაბილური შემოსავალი და შესაბამისად სარგებელი პარტნიორისა და საზოგადოებისათვის.


აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მენეჯმენტს გადამწყვეტ ფაქტორად კომპანიის მაღალი რეპუტაციის მუდმივი შენარჩუნება-გაზრდა და მაღალკომპეტენტური და გამოცდილი კადრების მიერ მომხმარებლებისთვის სტაბილური ხარისხის და მაქსიმალურად ხელსაყრელი მომსახურების მიწოდება მიაჩნია.

რაც შეეხება უახლოეს გეგმებს - რადგან შეინიშნება გაზრდილი მოთხოვნა ნავთობპროდუქტების გადაზიდვასთან დაკავშირებით შავი ზღვის ტერმინალებიდან აზერბაიჯანის მიმართულებით, კომპანიას გადაწყვეტილი აქვს გააფართოვოს მისი მოქმედების არეალი და აღნიშნული მიმართულებით მომსახურების დამატება განიხილოს შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთ დამატებით წყაროდ.

კანონმდებლობა და რეგულაციები

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინის“ 2024 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2025 წლის 25 აპრილს:



სოლიკო ფრიდონაშვილი

დირექტორი